საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/113

ქ. ბათუმი 04 სექტემბერი, 2020წ.

„2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/108 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/99 ბრძანების, ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/100 ბრძანების, „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N536 დადგენილებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობების (შემდგომში - წესი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 3 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/108 ბრძანებაში

შევიდეს დამატება, კერძოდ, მე-4 პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი შინაარსის 4[1] და 4[2] პუნქტები:**

,,4[1]. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს №536 დადგენილებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები"-ს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 3 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის თანახმად, სოციალური დახმარებით (1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი სწავლის საფასურის დაფინანსება; 2. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში წარმოშობილი სწავლის საფასურის (დავალიანების) დაფარვა) შეუძლიათ ისარგებლონ ბსუ-ში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა იმ პირებმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში" და რომელთა მინიჭებული სარეიტინგო ქულა 2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე. ასეთი კატეგორიის სტუდენტები უფლებამოსილნი არიან, ნაცვლად სწავლის საფასურის გადახდის ქვითრისა, წარმოადგინონ ცნობა, გაცემული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

4[2]. სოციალურად დაუცველ სტუდენტს, რომელსაც ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე დაუფინანსდება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური, სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის ან სხვა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული საგრანტო/პროგრამული დაფინანსება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩაეთვლება გამოყენებულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**